30
დეკემბერი

კვირა,
1962 წ.
№ 255 (2104)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

# საუკეთესო ათეული

საბჭოთა კავშირის პრესისა და რადიოს ფედერაციამ გამოაქვეყნა იმ ათი საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენის სია, რომლებმაც გასული წლის სეზონში ყველაზე კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს. სიას სათავეში სამართლიანად უდგას მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ვ. ბრუმელი. ამ სპორტსმენს უკანასკნელ სეზონში არცერთხელ განუცდია დამარცხება და თავისივე ძველ მსოფლიო რეკორდს (2 მ 25 სმ) კიდევ ერთი სანტიმეტრი წაუმატა.

მეორე ადგილზეა შესანიშნავი საბჭოთა სპორტსმენი, სამი მსოფლიო რეკორდის მფლობელი, მძიმე წონის ი. ვლასოვი (მოსკოვი).

ლ. ლატინინამ კარგახანია მსოფლიოს გააცნო საკუთარი თავი, როგორც შეუდარებელმა ტანმოვარჯიშემ. იგი ჩვენი ქვეყნის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონია ქალთა შორის, რისთვისაც უძლიერესთა ათეულში მესამე ადგილზე დამკვიდრდა.

მეოთხე ადგილი არავის დაუთმო მძლეოსანმა თ. პრესმა (ლენინგრადი). სწორედ მას ეკუთვნის მსოფლიო რეკორდები ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში.

ათეულში შუა — მეხუთე ადგილზეა 24 წლის მოსკოველი სტუდენტი ხუთჭიდელი ა. [illegible]ვი.

მეექვსე ადგილზე დამკვიდრდა მოსკოველი ასპირანტი ი. ტერ-ოვანესიანი. მან ერთადერთმა შეძლო სიგრძეზე ხტომაში გადაელახა ამერიკელი რ. ბოსტონის მსოფლიო რეკორდი (8 მ 28 სმ), როცა ერევანში გამართულ შეჯიბრებაზე აჩვენა 3 სმ-ით უკეთესი შედეგი.

მომდევნო, მეშვიდე და მერვე ადგილებზე იმყოფებიან მოციგურენი, მსოფლიო ჩემპიონები ვ. კოსიჩკინი და ი. ვორონინა.

ფედერაციამ მეცხრე ადგილი მიაკუთვნა ვ. კუცის „მემკვიდრეს“, ოლიმპიურ ჩემპიონ პ. ბოლოტნიკოვს.

ათეულის სიას ხურავს სათხილამურო სპორტის წარმომადგენელი მსოფლიო ჩემპიონის სამი ოქროს მედლის მფლობელი ა. ჩოლჩინა.

# უძლიერესთა ათეულში

სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ შეაჯამა 1962 წლის სეზონის შედეგები და საუკეთესო ჩოგბურთელებად მიიჩნია შემდეგი სპორტსმენები: ქალები — 1. ა. დმიტრიევა (მოსკოვი), 2. ლ. პრეობრაჟენსკაია (მოსკოვი), 3. ვ. ტროშკინა (როსტოვი), 4. ი. ერმოლოვა (თბილისი), 5. გ. ბაკშეევა (კიევი), 6. ა. სოროკინა (ბაქო), 7. ს. ასპისოვა (მოსკოვი), 8. ს. კივი (ესტონეთი), 9. ვ. ფილიპოვა (მოსკოვი), 10. რ. აბჟანდაძე (თბილისი).

ვაჟთა შორის საუკეთესოთა ათეულში ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. პოტანინი (ლენინგრადი), 2. ტ. ლეიუსი (ესტონეთი), 3. მოზერი (კიევი), 4. რ. ახვობანი (როსტოვი), 5. ვ. ეგოროვი (მოსკოვი), 6. ს. ლიხაჩევი (ბაქო), 7. ი. პარმასი (ესტონეთი), 8. ა. მეტრეველი (თბილისი), 9. ნ. მძინარიშვილი (თბილისი), 10. ს. მირზა (მოსკოვი).

◇

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов



ნახატი გ. იაშვილისა.

# დიდი ოჯახი

**საბჭოთა** ხალხი, საბჭოთა კავშირის ყველა მეგობარი საზღვარგარეთ დღეს ზეიმით აღნიშნავენ დიდ ისტორიულ თარიღს — პირველი მრავალეროვანი სოციალისტური ქვეყნის შექმნის 40 წლისთავს.

1922 წლის 30 დეკემბერს, საბჭოების I ყრილობაზე, რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის წინადადებით საბჭოთა რესპუბლიკები გაერთიანდნენ ერთიან სახელმწიფოდ, შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობამ დაამტკიცა დეკლარაცია, სსრ კავშირის შექმნის საკავშირო ხელშეკრულება და აირჩია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ეს იყო უდიდესი ისტორიული აქტი მეგობრული მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნისა. მას საფუძვლად დაედო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრები, რომელმაც მთელ მსოფლიოს თვალნათლივ წარმოუდგინა ლენინიზმის იდეების, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფი. პროგრესული კაცობრიობისათვის ნათელი გახდა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი სწორი გზა, ხალხებს შორის უთანასწორობის მოსპობისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის ერთიან მეგობრულ ოჯახად შეკავშირების დიადი გზა.

საბჭოთა ხალხების გაერთიანებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ოქტომბრის მონაპოვრების განმტკიცება-განვითარებისათვის. ლენინი აღნიშნავდა, რომ აუცილებელია „... განმტკიცდეს სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ამ ღონისძიების მიმართ არავითარი ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს, იგი ჩვენ გვჭირდება...“ ვ. ი. ლენინის ამ შორსმჭვრეტელური სიტყვების ღრმა აზრი დაადასტურა იმ ორმოცმა წელმა, რომელიც განვლო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადმა, ძმურმა კავშირმა, რომელმაც უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული გამარჯვება და კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაზე გადასვლა.

სსრ კავშირის არსებობის 40 წლის მანძილზე საბჭოთა ხალხებმა მოიპოვეს უდიდესი ისტორიული გამარჯვებები თავიანთი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეში, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე. ყოველი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც წინათ, სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლამდე, ჩამორჩენილ, აგრარულ კუთხეს წარმოადგენდა, დღეს იქცა მოწინავე ინდუსტრიულ და საკოლმეურნეო ქვეყნად, რომლის დონე შეშურდება კაპიტალისტური სამყაროს ბევრ ქვეყანას. არნახულად აყვავდა მოძმე რესპუბლიკების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა, მეცნიერებისა და ტექნიკის დონე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მთელს მსოფლიოს წარმოუდგა როგორც უძლეველი, მტკიცე ძალა, რომელმაც გაუძლო ყველა მკაცრ გამოცდას, გაუძლო ისტორიის ყველა მძაფრ მომენტს და 40 წლის მანძილზე არაერთგზის დადასტურა ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული ხალხების ძმური, თანასწორუფლებიანი კავშირის უდიდესი შესაძლებლობანი, რომელმაც სასწაულები მოახდინა როგორც სოციალურ და პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ, კულტურულ, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში. 40 წლის წინ ამ შესაძლებლობებს კაპიტალიზმის რეაქციული პრესა არად აგდებდა, დღეს კი დიადი საბჭოეთის ყოველ ახალ გამარჯვებას, კოსმოსის დაპყრობაში იქნება ეს, თუ სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მრეწველობის ახალი გიგანტების შექმნასა თუ მშვიდობისათვის დაუცხრომელ ბრძოლაში — კაცობრიობა ლებულობს, როგორც კანონზომიერ მოვლენას, რომელიც ზუსტად წარმოადგენს მეგობრულად გაერთიანებული საბჭოთა ხალხების დიდ ძალას და მომავალშიც, მათს უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობებს. „ჩვენი კოსმოდრომი — კომუნიზმია!“ — ეს ხატოვანი სიტყვები მთელის სიმკვეთრით წარმოადგენს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხალხების ყველა გამარჯვება აღმოცენებულია მათს დიად სოციალისტურ მეგობრობაზე.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა საფუძვლად დაედო აგრეთვე საბჭოთა სპორტისა და ფიზკულტურული მოძრაობის მძლავრ განვითარებას და ბრწყინვალე გამარჯვებებს, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე მოიპოვა. ამ ასპარეზზე ერთნაირი გზებით და მონდომებით, შემართებითა და თავგანწირვით იცავენ თავიანთი დიადი საბჭოთა სამშობლოს სპორტულ ღირსებას რუსი და უკრაინელი, ბელორუსი და ქართველი, ლატვიელი და ყაზახი — საბჭოთა კავშირის ყველა ერის წარმომადგენელი.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას!

## ბელგიელ და ქართველ სტუდენტთა შეჯიბრება

საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფებიან ბელგიელი სტუდენტი კალათბურთელები. მათ თბილისში ჩამოსვლამდე ორი შეხვედრა გამართეს ლენინგრადში: ზუსტი მექანიკის ინსტიტუტის გუნდთან მათ წააგეს — 62:70, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს მოუგეს — 61:58.

პირველ დღეს სტუმრების წინააღმდეგ უნივერსიტეტის კალათბურთელები თამაშობდნენ. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით ხასიათდებოდა და მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს მასპინძლებმა წინ გასვლა — 46:39. მეორე ნახევარში ქართველმა კალათბურთელებმა უპირატესობა შეინარჩუნეს და გაიმარჯვეს — 81:72. ბელგიელთაგან საუკეთესო იყო ვან ველსენი, რომელმაც გუნდს 22 ქულა მოუტანა. ამდენივე ქულა შესძინა თავის გუნდს ა. კაზანჯიანმა.

მეორე დღეს ბელგიელები შეხვდნენ თბილისის „ბურევესტნიკს“. და ყვლავ დამარცხდნენ — 54:49.

**ჩვენმა რედაქციამ გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადასთან დაკავშირებით მკითხველებს გააცნოს, თუ როგორ ემზადებიან ჩვენი მომავალი სპორტული მეტოქეები ამ დიდი შეჯიბრებისათვის. ვაქვეყნებთ მასალებს აზერბაიჯანის რესპუბლიკაზე.**

კაროლინა მირზოევამ ქვარიში მიიღო დიდი სპორტული ნათლობა. იგი მშობლიურ ბაქოში, მსოფლიოს უძლიერეს მოფარიკავეთა ტურნირიდან დაბრუნდა როგორც ჩემპიონი, უძლიერესთა შორის უძლიერესი. კ. მირზოევას (მარცხნივ) ამ დიდ წარმატებას ულოცავს მეგობარი ფ. აგაევა.

# ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ [illegible]

**მ. ისკენდეროვი,**
აზერბაიჯანის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სპორტული პროვინცია. რაიონული, საქალაქო, რესპუბლიკური და ცენტრალური გაზეთები ხშირად იმ მასობრივ შეჯიბრებათა აღწერით, რომლებიც იწყობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში. ყოველ საბჭოთა რესპუბლიკას თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა სპორტის მდიდარ მატიანეში და წარმოშობს იმ შესანიშნავ წარმატებებს, რომლებსაც განცვიფრებაში მოჰყავს მთელი მსოფლიო.

უდიდეს სიამოვნებას ვგრძნობთ, როდესაც ვისმენთ, ვუყურებთ ან ვკითხულობთ რუსეთის ძალოსნების, ან მძლეოსნების, უკრაინელი ტანმოვარჯიშეების და მოცურავეების, ბელორუსელ მოჭიდავეთა და მძლეოსნების, ხოლმე ხუთჭიდელებისა და სხვათა წარმატებების შესახებ. ჩვენს ქვეყანაში სახელგანთქმული არიან ლიტვის მოკრივეები, ლატვიის კალათბურთელები, ყირგიზეთის ცხენოსნები, ესტონეთის ჩოგბურთელები.

განსაკუთრებული სიყვარულით ილებს ჩვენი ახალგაზრდობა ყოველ ახალ ცნობას საქართველოს სპორტსმენთა წარმატებების შესახებ. ჩვენში უყვართ და პატივს სცემენ ნ. გაფრინდაშვილს, მ. მეხს, გ. ჩოხელს, ე. უგრეხელიძეს, მ. ნონიაშვილს, ი. დიაჩკოვს, გ. ჩიქვანაიას, ლ. გოგოლაძეს და ბევრ კიდევ სხვა სახელოვან ქართველ სპორტსმენს.

საქართველოს სპორტი ჩვენთვის მაგალითია, მაგრამ გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენ ბევრ სახეობაში ვაპირებთ თქვენთან მეგობრულ შეჯიბრებას. ამის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენს რესპუბლიკაში სპორტი მძლავრ აღმავლობას განიცდის.

აზერბაიჯანს გამოჩენილ სპორტსმენთა მძლავრი ავანგარდი ჰყავს. ჩვენმა გოგონამ კ. მირზოევამ საქვეყნოდ გაითქვა სახელი მოფარიკავეთა შორისაც. ტ. ზატულოვსკაია სსრ კავშირის ჩემპიონია ჭადრაკში. ა. საიდოვი თავისი ძმის გ. საიდოვის მაგალითით მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მძლეოსნები ე. ალექპეროვა, ა. ეფენდიევა, ვ. ტატარინცევი, მოცურავეები ვ. ეფენკოვი და ი. ზიმინი, მოჭიდავეები ა. იბრაგიმოვი და ჯ. ჯალილოვი, მხროლელები ი. ემინბეილი და ა. ბოგდასაროვა, ჩოგბურთელები ლიბაროვი და ა. ხორიკიანი, წყალბურთელები ე. ხალცინი და ნ. მა[illegible]ცევი, ფეხბურთელები ა. მამედოვი და ი. კუზნეცოვი და მრავალი სხვა, დიდი ხნის მანძილზე იყვნენ და არიან საბჭოთა სპორტის მოწინავე უბნებზე.

აზერბაიჯანის სპორტის წარმატებებს აქვს მტკიცე საფუძველი ფიზიკური კულტურის მასობრიობის სახით. ჩვენს რესპუბლიკაში ათასზე მეტი ფიზკულტურული კოლექტივია, რომლებიც აერთიანებს უამრავ მეწარმეებს და მ[illegible] ნებელს, ბამბის მკრეფავს და მ[illegible] თონეს, მოსწავლეებს და სტუდენტებს. სპორტი მათთვის გახდა ცხოვრების [illegible]ებელი ნაწილი.

[illegible] კავშირის ხალხთა III სპარ[illegible]სათვის მზადების გზაზე [illegible] განსაკუთრებულ ყურადღებას [illegible] ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცების საქმეს.

[illegible] უნდაც ერთი მაგალითი. [illegible] ნარიმანოვის რაიონში არის [illegible] ჩამომსხმელი მექანიკური [illegible] ჩვენი ქალაქის პირობებში, [illegible] ინდუსტრიული გიგანტი [illegible] არ წარმოადგენს. ეს [illegible] არც თუ ისე დიდად [illegible] მაგრამ აქ შექმნილია მეტად [illegible] ფიზკულტურული კოლექტივი მძლავრი ველოსექციით. ქარხნის ველოსიპედისტთა სახელებს [illegible] ქალაქშიც კარგად იცნობენ: [illegible], ნ. ხოხლაჩოვი, ა. აგა[illegible] ბალიევი და სხვები ამიერ[illegible] მრავალდღიანი ველო[illegible] გმირები იყვნენ. ხშირად [illegible]ბენ და [illegible] უწყებს ხელი ჩვენი გუნდის [illegible] წარმატებას ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში. ქარხნის ველოსექციის წევრთა დიდი ნაწილი რესპუბლიკის ნაკრების კადრს წარმოადგენს და ჩვენც ყოველმხრივ ხელს ვუწყობთ ამ ქმედით ფიზკულტურულ კოლექტივს.

იგივე ითქმის შეიძლება „ლენინნეფტის" სამმართველოს ძალოსანთა სექციაზე. სადაც თავმოყრილია ჩვენი ყველა წამყვანი კადრი, „აზნეფტიზავოდის" კომუნალური სამმართველოს მოცურავე ქალებზე.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი ფრენბურთელების ოსტატობა. კალათბურთის ძალებს წყალბურთელთა ნაკრები გუნდი. დიდი იმედები გვაქვს მაგიდის ჩოგბურთელების, მოჭიდავეების, ხუთჭიდელების, მხროლელების, მოცურავეების, მოფარიკავეების წარმატებაზე. მაგრამ ყველაფერი ეს როდი ნიშნავს, რომ რესპუბლიკის სპორტულ მოძრაობას არა აქვს ნაკლოვანი მხარეები. ჩვენი მთელი ძალები ამჟამად სწორედ იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისკენაა მიმართული, რომელმაც უნდა გაუმჯობესოს აზერბაიჯანის სპორტული დელეგაციის მიღწევები ხალხთა III სპარტაკიადაზე.

# ᲮᲔᲚᲘᲮᲔᲚ ᲩᲐᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ

...ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებებზე ხშირად შეხვდებით ჭაღარათმიან, მაგრამ მხნე მამაკაცს. მის მკერდს ორი სამკერდე ნიშანი ამშვენებს: ერთი სპორტის დამსახურებულ ოსტატისა, ხოლო მეორე — საკავშირო კატეგორიის მსაჯისა. ეს გაიოზ კაროლეს ძე კოპლატაძე გახლავთ, აზერბაიჯანის ტანმოვარჯიშეთა მთელი პლეადის აღმზრდელი, წარსულში ცნობილი ოსტატი. გაიოზ კოპლატაძე დღეს ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგეა.

... წელს „ბ" კლასის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში წარმატებით ითამაშა კიროვაბადის „დინამომ". ამ გუნდის გამარჯვებები დაკავშირებულია გამოცდილი მწვრთნელის, ი. აბრამიშვილის სახელთან, რომელიც ამ მეორე ხნის წინ მოვიდა კოლექტივში.

ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის ძველთაგანვე კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა არსებობს. ბევრი ქართველი სპეციალისტი მუშაობს აზერბაიჯანის სხვადასხვა ფიზკულტურულ კოლექტივში და გულმოდგინედ ეწევა ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

კრივის მოყვარულებს კარგად ახსოვთ ნიჭიერი მოკრივის, გამოცდილი ოსტატის, ბორის გუდიანის სპორტული ბიოგრაფია. იგი დღეს ახალგაზრდა თაობის აღზრდას ჩაუდგა სათავეში და საქმეც მეტ ნაყოფზე დაიყვანა.

ჩვენ, აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები, ხშირად ვიკრიბებით ერთად და ვსაუბრობთ სხვადასხვა თემაზე. ჩვენ გვიყვარს საქართველო და ყველაფერი ქართული: მისი ტრადიციები, ადათ-წესები, სიმღერები, ცეკვები და, რა თქმა უნდა, — სპორტი. გვიყვარს აზერბაიჯანი. ჩვენთვის მშობლიურია მისი ლამაზი ველები, აშენებული მინდვრები და მღელვარე კასპიის ზღვა.

აზერბაიჯანი შესანიშნავი ინტერნაციონალური ტრადიციების მქონე ქვეყანაა. აქ ამბობს რუსი და ქართველი, სომეხი და თათარი, ებრაელი და უკრაინელი. საკმარისია დაჰყოთ თუნდაც ერთი საათი ბაქოს სამრეწველო უბნებში, ნავთობის საბადოებზე, მთის საბჭოთა მეურნეობებში, რათა ნახოთ, თუ როგორ ხელიხელჩაკიდებული მუშაობენ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს შვილები.

და გასაკვირი არ იქნება, რომ ხალხთა ასეთი მეგობრობის მაგალითებს სპორტშიც ვხვდებით. 10 წლის წინ ტრაგიკულად დაიღუპა ხალხის ცნობილი ოსტატი მახარაძე. მაგრამ მისი ხსოვნა დღესაც ნათელია მის მაძლობელთა და მეგობართა შორის. მახარაძის დიდი დამსახურება ჰქონდა აზერბაიჯანული სპორტის წინაშე. სწორედ მან აღზარდა ჩვენი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი ჭიდაობაში ი. დადაშევი. მისი ძმა მ. დადაშევი და ნიჭიერ სპორტსმენთა მთელი პლეადა. ამას წინათ ფიზკულტურის სპეციალისტთა ერთმა ჯგუფმა მიიღო აზერბაიჯანის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. დაჯილდოებულთა შორის იყვნენ ლევ ბეგლარიონი და ვლადიმერ მელკუმოვი, სერგეი მელიქიანი და აარონ რაშიდ ... და ბევრი კიდევ სხვა. ესეც ხალხთა ძმური კავშირის მეგობრობის თავისებური გამოხატულებაა.

მაგრამ ამ სიყვარულს სხვა გამოხატულებაც აქვს. იგი ახალი ძალით ვლინდება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სპარტაკიადებზე და სხვა მრავალ სამატჩო შეხვედრებში. ჩვენ გვჯერა, რომ მხოლოდ ასეთი კავშირით შეიძლება გაჰყვეთ ჩვენ სპორტული ცხოვრების აბობოქრებულ მორევში.

**ს. ლორთქიფანიძე,**
„ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

# ᲛᲔᲜᲐᲕᲗᲝᲑᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

მარჯვნივ წყლის თვალუწვდენი ჰორიზონტია, იგივე სურათია მარცხნივაც. დინჯად მიემართები ესტაკადაზე და გრძნობ კასპიის მარილიან გემოს, სახეში გირტყამს მოთეთრო ფერის მტვერი.

ქალაქ ზღვაში... ფეხქვეშ ზღვის ზვირთებია, მაგრამ ცხოვრება აქ ისევე მიდის, როგორც ხმელეთზე. ზღვის სიღრმეში ეშვებიან ტურბობურღები, კენჭილი მიდის როტორის სისტემითაა დაფარული, ყველგან ნავთობი, ყველგან ვეებერთელა რეზერვუარები და კომპრესორები, ამწეები.

სამუშაო დღის შემდეგ კი დასვენება, გართობა, სიმღერა და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სპორტი. კასპიის მღელვარე ზღვაზე მუშაობა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურად ძლიერ, ჯანმრთელ ადამიანებს. ნურავის გაკვირვებს ის, რომ „ნავთობის ქვებში" უამრავი მოკრივე, მოჭიდავე, ძალოსანი და ფრენბურთელია. აქ მთელი ძალით ჩქეფს სპორტული ცხოვრება.

მენავთობეებს უყვართ სპორტი, ბევრს მოგზაურობენ და ამიტომ აქვური ტურისტული სექცია ერთ-ერთი უძლიერესი ორგანიზაციაა აზერბაიჯანში.

„გიურგიანნეფტის" სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივი თავისი მასშტაბით, თავისი შესაძლებლობებით და ხარისხით არ ჩამოუვარდება ჩვენი რესპუბლიკის არც ერთ საწარმოო ფიზკულტურულ კოლექტივს და როცა ჩვენს ქვეყანაში დაიწყო კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნა, „ნავთობის ქვების" მუშებმა საწარმოო მაჩვენებლების ზრდასთან ერთად ივალდებულეს რეგულარული მეცადინეობა ფიზკულტურასა და სპორტში, თანრიგოსნების მომზადებაში და ყველა შეჯიბრებაში მონაწილეობა. ეს ლიტონი სიტყვები არ არის — მენავთობეთა სიტყვა და საქმე ერთია. 1968 წლისათვის აქ ყველა სპორტსმენი იქნება.

**ა. ჯაფაროვი,**
სოციალისტური შრომის გმირი

ნორჩ მოცურავეებთან ვარჯიში წამყვან მწვრთნელთა მუშაობის განუყოფელი უბანი გახდა. გამოცდილი პედაგოგები თავიანთ მდიდარ პრაქტიკას გადასცემენ დამწყებ მოცურავეებს. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ახალბედა მოცურავეთა პირველ ნაბიჯებს საწყლოსნო ბილიკებზე. ფოტო გადაღებულია ს. კიროვის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დახურულ საცურაო აუზში.

[illegible] „ნავთობის ქვებზე". წარმოების მოწინავეები [illegible] ვარჯიშობენ, თავიანთ ნაყოფიერ [illegible].

[illegible] სამართლის ზონაში. აქ ყველაფერი ერთ მტკიცე კანონს ექვემდებარება, რაც იმაში გამოიხატება, რომ საბჭოთა ადამიანები ფიზიკური კულტურისა და სპორტის წყალობით ამშვენიერებენ თავიანთ ბედნიერ ცხოვრებას.

◆

# ᲜᲘᲭᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ

სპორტული ოსტატობის მწვერვალებს ზოგი ნელა და ბეჯითი შრომით აღწევს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა ნიჭი უეცრად ავლინდება. სულ ცოტა ხნის წინ ნორჩ მოფარიკავე კ. მირზოევასათვის პირველი გამარჯვება დაუჯერებელ ზღაპრად იყო, დღეს კი მის სახელს კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენში, საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს მსოფლიოშიც. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ახალგაზრდა მოფარიკავემ ქვარის მსოფლიო პირველობაზე ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა მოზარდთა შორის.

მაშინ, როცა ტანმორჩილმა, მორცხვმა გოგონამ პირველად გადააბიჯა ფეხი სპორტული დარბაზის კარს, მწვრთნელმა ს. კულიევმა ვერაფერი ნახა მასში განსაკუთრებული. იგი არაფრით გამოირჩეოდა დამწყებთა სექციაში მოსული სხვა ახალბედებისაგან.

ნამდვილი მებრძოლის თვისებები კ. მირზოევამ უფრო მოგვიანებით გამოიჩინა, როცა პირველმა წარმატებებმა შეუმჩნევლად წამოსწიეს თავი. მესამე თანრიგს მოჰყვა მეორე, შემდეგ პირველი. ბაქოს ჩემპიონისა და რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტული და მალე ბაქოში და ნიჭიერი გოგონა უძლიერესთა ნაკრებში იქნა შეყვანილი.

კ. მირზოევას სპორტული გზა მხოლოდ ახლა იწყება. მომავალი მას ჯერ წინ აქვს. გოგონამ იცის ეს და ამიტომ გულმოდგინედ ემზადება გადამწყვეტი ბრძოლებისათვის დიდ ასპარეზზე. რით შეეძლია გაახაროს მან თავისი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა, ამას გვიჩვენებს მომავალი წლის ზაფხულის ხალხთა სპარტაკიადა.

**ი. მამედოვი,**
სპორტის ოსტატი, აზერბაიჯანის ჩემპიონი ფარიკაობაში.

# ᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ

ქალი — სპორტსმენი, ქალი — ფიზკულტურელი... ძველი თაობის ხალხს ახსოვს დრო, როდესაც ეს გამოთქმა არც იყო ხმარებაში. დღეს კი იგი ჩვეულებრივი ამბავია. მან მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჩვენს სალაპარაკო ლექსიკონში. ფიზკულტურულ დროშის ქვეშ გაერთიანებულია 107 ათასი ქალი და მათი რიგები დღითიდღე იზრდება, ფართოვდება.

ჩვენს რესპუბლიკას მთელი რიგი წარმატებები აქვს მოპოვებული ქალთა შორის სპორტის მასობრივად დანერგვის საქმეში, ამაში მას ხელს უწყობს ქალთა საბჭოების შექმნა. ამ ორგანიზაციათა შემადგენლობაში თავმოყრილი არიან საუკეთესო და ენერგიული აქტივისტები, უმაღლესი სასწავლებლის და სკოლების პედაგოგები, მწვრთნელები, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაკები.

გასულ წელს ბაქოში ჩატარდა ქალთა პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც მიზნად ისახავდა [illegible] მუშაობის შემოწმებას. ეს იყო დიდი კომპლექსური შეჯიბრება. მის ფინალურ ნაწილში მონაწილეობა მიიღო 1230 სპორტსმენმა. და აი, სწორედ ამ ღონისძიებაზე დაყრდნობით რესპუბლიკამ აიღო მთელი რიგი გაზრდილი ვალდებულებები. კერძოდ, შვიდწლედის ბოლოსათვის ფიზკულტურელ ქალთა რაოდენობა აყვანილ იქნას 250 ათასამდე, მომზადდეს 75 სპორტის ოსტატი, 2 ათასი პირველთანრიგოსანი და ა. შ. ამ ვალდებულებათა შესრულება თუ ისე დიდი დრო გავიდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ბევრი რამ გაკეთდა.

ქალთა საბჭოების საქმიანობა ჩვენში მტკიცე კავშირშია ფიზკულტურულ ორგანიზაციათა საქალაქო მუშაობასთან. დღეისათვის წესრიგში დგას ერთი საკითხი: სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის მზადება. ქალთა საბჭოებმა თავიანთი საქმიანობა უკვე კარგა ხანია ამ მიმართებით წარმართეს. მათი დახმარებით გამოვლინდა ნიჭიერ ახალგაზრდათა ძლიერი რაზმი, რომელმაც უნდა დაიკავოს წამყვანი ადგილები აზერბაიჯანის ნაკრებ გუნდებში.

თავიანთი გამოცდილების შესახებ აზერბაიჯანელმა აქტივისტებმა ამას წინათ საკავშირო თათბირზე ისაუბრეს სხვა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან. ჩვენმა მუშაობამ ყველა დააინტერესა, ბევრი რამ იქნა გადატანილი აზერბაიჯანის ქალთა საბჭოს ნაყოფიერი მუშაობის პრაქტიკიდან, ბევრი რამ ახალი გავიგეთ ჩვენც. რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები სამართლიან იმედს გამოთქვამენ, რომ ეს კარგი წამოწყება ხელს შეუწყობს ქალთა სპორტის განვითარების კეთილშობილურ საქმეს.

**ზ. რზაევა,**
რესპუბლიკური სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილე ქალთა შორის მუშაობის დარგში.

ძველი აზერბაიჯანული სპორტული თამაში — ჩოვგანი. იგი თავისი შინაარსით ძალზე წააგავს პოპულარულ ქართულ ცხენბურთს. აზერბაიჯანის მშრომელები სიყვარულით იხსენებენ ეროვნული სპორტული კულტურის ამ შესანიშნავ ნიმუშს და ფართოდ ნერგავენ მას ახალგაზრდებში.

ჩოვგანით განსაკუთრებით შემინდება სოფლად. აქ ხშირად ეწყობა საინტერესო ტურნირები, სახალხო და საკოლმეურნეო შეჯიბრებები. სხვადასხვა ფერის ბედაურებზე ამხედრებული მოთამაშეები გატაცებით მიაქანებენ ბურთს მოწინააღმდეგის ზონაში. თამაში მტკიცე წესებს ემორჩილება. ეს წესები ამას წინათ აღადგინეს და შეინარჩუნეს ეროვნული ფიზიკური კულტურის ისტორიის ცნობილმა სპეციალისტებმა.

# ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲫᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არის რეკორდის და სპორტის ოსტატის

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ძალოსნობაში ტაჯიკეთისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის.

შეჯიბრება დაიწყო უმჩატესი წონის ძალოსანთა გამოსვლებით. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, განთიადელმა სპორტის ოსტატმა კ. მარტიროსიანმა პირველსავე მოძრაობაში — აჯიმვაში 12,5 კილოგრამი მოუგო ვ. კიმს, ხოლო სამი მოძრაობის ჯამში განსხვავებამ 35 კილოგრამს მიაღწია. ამ წონით კატეგორიაში პირად ჩათვლაში გამოდიოდა ახალგაზრდა ძალოსანი ზ. ყიფშიძე, მან სამჭიდის ჯამში 275 კილოგრამი დააგროვა, რაც 10 კილოგრამით აღემატება სპორტის ოსტატის ნორმას. მან პირველად შეასრულა ოსტატის ნორმა.

ქვემსუბუქ წონაში მეტს მოველოდით სპორტის ოსტატ ა. სურმანიძისაგან („კოლმეურნე“). მან კარგად დაიწყო შეჯიბრება და ორი მოძრაობის ჯამში 5 კილოგრამს უგებდა სპორტის ოსტატ ვ. კოლონჩენკოს. ბოლო მოძრაობაში — აკვრაში სტუმარმა ანგარიშიც გაათანაბრა და სამჭიდში 2,5 კგ-ით აჯობა ა. სურმანიძეს.

ზემძიმე წონის ძალოსანმა მ. კალაშიანმა დაამყარა რესპუბლიკის ახალი რეკორდი აჯიმვაში — 148 კილოგრამი. ეს ნახევარი კილოგრამით აღემატება წინანდელ რეკორდს, რომელიც რუსთაველ ა. გოგოლაურს ეკუთვნოდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება ქართველ ძალოსნებს დარჩათ — 8:1.

**ა. კიკაბიძე**

• • •

**სურათებზე: მარცხნივ—ზ. ყიფშიძე, მარჯვნივ — მ. კალაშიანი.**

**ფოტო ი. იუნაევისა.**

# სტუმრად „ვარსკვლავებთან“

უნდა მოგახსენოთ, განცვიფრებულნი გამოვედით სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს შენობიდან მოსკოვში: ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა უცნაური სიურპრიზი გაგვიმზადა მეორე დღისათვის სამხრეთ ამერიკაში გასაფრენად გამზადებულ საბჭოთა სპორტსმენებს. ოლიმპიური ნაკრების ჯერ კიდევ შეუთამაშებელ კანდიდატებს ბრაზილიელ ფეხბურთელთა მეორეხარისხოვან გუნდების ნაცვლად პირველივე მატჩი მსოფლიოს აღიარებული ფავორიტებით სავსე „სანტოსთან“ გვიწევდა.

პელეს, კუტინიოს, ზიტოს, პეპესა და სხვა „ვარსკვლავებთან“ თამაში ოცნებას წარმოადგენს ყველა დღევანდელი ფეხბურთელისათვის, მაგრამ ამ ალმაფრენას გუნდის ერთმანეთთან შეუთამაშებელი წევრების მოსალოდნელი დამარცხება მაინც ჩრდილავდა.

3 დეკემბერს საჰაერო ლაინერმა გეზი ამსტერდამისაკენ აიღო და მის მონოტონურ გუგუნთან ერთად ყურში გუნდის მწვრთნელის ვ. სოლოვიოვის სიტყვებიც მიზუოდა — სერგეი, ინგლისიდან ფრიადოსანი დაგვიბრუნდი, ეცადე აქაც ივარგო!. აქცენტი ჩემზე იყო გაკეთებული და პასუხისმგებლობაზე ფიქრი კოლექტივის საერთო სიჩუმის ფონზე კიდევ უფრო მუქ ფერებში მიხატავდა მატჩებს ფეხბურთის კონტინენტზე.

მთელი შემადგენლობიდან მხოლოდ ა. კრუტიკოვი იყო ბრაზილიაში ნამყოფი და მასაც არც თუ ისე ტკბილი მოგონება აკავშირებდა 1959 წელს ბრაზილიაში ნამყოფი მოსკოვის „სპარტაკისა“ და ადგილობრივ ფეხბურთელთა შეხვედრების გახსენებასთან.

„ტუ-104“ ამსტერდამში „კაილამის“ კომპანიის თვითმფრინავმა შეცვალა და შვეიცარიის დედაქალაქში ხანმოკლე დაშვების შემდეგ შეუმჩნევლად ამოვჩნდით აფრიკის მიწაზე. ქალაქი დაკარა თავისებური ტრამპლინია ოკეანეზე გადასახტომად, ხტომის ფაზა კი ზამთრის ღამესავით გრძელი და მოსაბეზრებელი.

ოკეანეზე 6 საათის ფრენის შემდეგ რიო-დე-ჟანეიროში, ან როგორც მას იქ ეძახიან, რიოში ჩასულ სპორტსმენებს 40-გრადუსიანი სიცხე დაგვხვდა. ერთადერთ შვებას გვაძლევდა ის, რომ პირველი საპასუხისმგებლო თამაში მთაგორიან სან-პაულუში უნდა ჩაგვეტარებინა.

... გეგმით პირველი მატჩი გათვალისწინებული იყო 7 დეკემბრისათვის, მაგრამ ვინაიდან ორი დღით ადრე „სანტოსი“ და „სან-პაულუ“ ხვდებოდნენ ერთმანეთს და გარდა ამისა, გადაუღებლივ წვიმდა, სამატჩო დღე კიდევ სამი დღით გადაგვიწიეს.

სასტუმრო „დაუმბიოში“ სტადიონის მახლობლადაა გაშენებული, მაგრამ მანქანების ლაბირინთიდან თავის დაღწევას და დანიშნულების ადგილზე მისვლას ჩვენი ავტობუსი 2 საათზე მეტს მოუნდა და ახლა უკვე გადაჭარბებულად აღარ მეჩვენა იმის გახსენება, რომ მსოფლიო ჩემპიონატიდან სამშობლოში დაბრუნებულმა გუნდმა აეროპორტიდან სასტუმროში მისვლას 9 საათი მოანდომა. ფეხით მოსიარულენი ერთიორად ზოგავდნენ დროს და თუ რომელიმე მათგანი შეგვიცნობდა ხოლმე ავტობუსში უცხოელ ფეხბურთელებს, აუცილებლად გვეკითხებოდა: „ჰა, პელესთან თამაშს აპირებთ?“ პელე! აქ სხვა ფეხბურთელის სახელი არც გამიგონია და შემდეგში შევიტყვეთ, რომ სტადიონის შემოსავალი ბევრადაა დამოკიდებული პელეზე. გუნდების შემადგენლობა გაზეთებში ორი დღით ადრე ცხადდება და თუ პელე თამაშობს, ანშლაგი გარანტირებულია, თუ არა — გაყიდული ბილეთების რაოდენობა 50 პროცენტამდე დადის. ამ უნიკალურ ფეხბურთელზე ლაპარაკი თვითეულ მოქალაქეს თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია და შეუძლია დილიდან ღამემდე ისაუბროს მასზე.

საოცარი კაცია ეს პელე.. როცა ჟიულ რიმეს თასის მფლობელნი დააჯილდოვეს, მან 100-ათასი კრუზეირო ჩაუდო ჯიბეში წვრილშვილიან მასაჟისტს, რომ ამ უკანასკნელს საკუთარი ბინა ეყიდა და თავი დაეღწია ქოხში ცხოვრებისაგან. მიმდინარე წელს ბულგარეთში ყოფნის დროს პელემ გული არ დაწყვიტა ახლადგაცნობილ ბავშვებს და მათთან ერთად ითამაშა ბურთი ქუჩაში, სადაც კარის როლს ჩანთები და წიგნები ასრულებდნენ. ერთი სიტყვით, პელე ბრაზილიელთა კერპია და ახალშობილთა უმეტესობა ფეხბურთის „შავი მეფის“ სახელს ატარებს.

სიტყვამ მოიტანა და უნდა მოგახსენოთ, რომ დასავლეთ გერმანიის კინოხელოვნების მუშაკთა ჯგუფი სწორედ ამ სათაურით იღებს ფილმს პელეს ცხოვრებაზე. ფილმში პელეს გარდა მონაწილეობენ მისი ოჯახის წევრები, ამხანაგები, ძველი მასწავლებლები, მეზობლები და სხვ. მოკლედ, 21 წლის ფეხბურთელმა სიცოცხლეშივე აიგო ძეგლი და როცა მისი თამაში მეც ვიხილე, თავი პელეს გულშემატკივართა ავანგარდში ჩავრიცხე.

დავუბრუნდეთ ისევ სტადიონს. იგი 60 ათას მაყურებელს იტევს და ტრიბუნებით სამი მხრიდან შემოსაზღვრული თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონს წააგავს. სიცხისაგან გადახრუკული მინდორი ისეთ საცოდავ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ვილაცამ სინანულით წარმოთქვა — ვერ გამიგია, ფეხბურთის „ვარსკვლავები“ ამ სტადიონზე თამაშს როგორ კადრულობენო. მაყურებელს, ეტყობა, მინდვრის საკითხი მაინცდამაინც არ აინტერესებს და როცა თამაშის დაწყების დროს რამდენიმე წუთი გადაცდა, ტრიბუნებზე აუწერელი ღრიანცელი ატყდა მოთამაშეთა გამოსაყვანად.

აშკარად იგრძნობოდა, რომ მაყურებელი ორ ბანაკად იყო გაყოფილი. ისინი ჩაცმულობითაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მახსოვს, „სან-პაულუს“ მომხრეთა მხარეს მჯდარი ორი ქალიშვილი, რომლებსაც საყვარელი გუნდის ფეხბურთელთა ფორმის მსგავსი კაბები ეცვათ. ისინი წვიმას შეუშინდნენ და „სანტოსის“ მხარეს გადმოჯდნენ. ამან სან-პაულელთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და აღშფოთებულმა ტრიბუნებმა სტვენით გამოაცილეს ორი „მოღალატე“.

მსაჯთა გამოჩენამ მინდორზე წამში უჩვეულო სიჩუმე გამოიწვია და თამაშიც დაიწყო. ადრე ნანახი საუკეთესო მატჩებიდან პირველობას ჩილისა და ბრაზილიის გუნდების შეხვედრას ვანიჭებდი, მაგრამ იმდღევანდელ თამაშთან შედარებით ყველაფერი მონაგონს წარმოადგენდა. „სანტოსი“ 8 ქულით უსწრებდა „სან-პაულუს“ სატურნირო ცხრილში და ამიტომ მოგებასაც და წაგებასაც მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. მაგრამ, როცა „სან-პაულუმ“ მოწინააღმდეგის კარში ორი ბურთი გაიტანა, მინდორზე მთელი ძალით ამოქმედდა სანტოსელთა საბრძოლო მექანიზმი, რომლის ძრავა რასაკვირველია პელე იყო.

ზოგ ფეხბურთელს თავით თამაშს უქებენ, ზოგს—ბურთის გაჩერებას, ზოგს ფინტებს, ან სისწრაფეს და ა. შ. პელე კი ნამდვილი უნივერსალია. „სან-პაულუს“ კარში გატანილი 5 ბურთიდან (მატჩი მოიგო „სანტოსმა“ — 5:2), პელე ერთის უშუალო ავტორი იყო და ოთხის თანაავტორი. მოვიყვან ერთ ეპიზოდს: პეპემ მარცხენა ფრთიდან საშუალო სიძლიერით დარტყმული ბურთი ჩამოაწოდა საჯარიმო ხაზთან. პელეს შეეძლო თავით მიეღო ეს ბურთი, მაგრამ თვალი მოჰკრა კარისკენ გასულ კუტინიოს. წამში შეაფასა შექმნილი ვითარება, რომ ბურთის მიწაზე დავარდნისა და დარტყმისათვის საჭირო დროში კუტინიო თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ამიტომ პელემ თავის ნაცვლად მკერდის მარცხენა ნაწილზე მიიღო ბურთი, 180 გრადუსით შემოტრიალდა, გადაიგორა ბურთი მარჯვნივ და აუგდო იგი კუტინიოს, რომელმაც შეუჩერებლივ დაარტყა კარში.

სასტუმროში გავარჩიეთ ეს თამაში და შევუდექით პელეზე „მისამაგრებელი“ კანდიდატის შერჩევას. ჯერ საბო გვინდოდა, მაგრამ შემდეგ არჩევანი ზავიდონოვზე შევაჩერეთ, ვინაიდან იგი უფრო გულმოდგინედ ასრულებს დავალებას. მას უნდა ედევნა პელესათვის ყველგან, სადაც კი იგი იქნებოდა.

წინ კიდევ სამი დღე გვქონდა და ჩვენს „მოწინააღმდეგეებს“ ვესტუმრეთ ერთ-ერთ კუნძულზე მოთავსებულ საწვრთნელ ბაზაზე, რომელსაც შოთა იამანიძემ ხუმრობით სანტოსელთა ღოლომი შეარქვა.

საოცრად დახეულ საწვრთნელ კოსტიუმში გამოწყობილი პელე კარში იდგა და აკრობატული ნახტომებით იგერიებდა ზიტოს დარტყმულ ბურთებს. ჩვენს დანახვაზე მან თამაში მიატოვა და სხვებთან ერთად სტუმრების გასაცნობად მოვიდა.

— პირადად თქვენ რამდენი ბურთის გატანას ვარაუდობთ ჩვენს კარში? — ხუმრობით შეეკითხა რომელიღაც ჩვენი მოთამაშე პელეს.

— ეს თქვენს მეკარეზეა დამოკიდებული, — გაიღიმა მან და კვლავ მოედანს დაუბრუნდა ვარჯიშის გასაგრძელებლად.

**ს. კოტრიკაძე.**

**სპორტის ოსტატი.**

(დასასრული იქნება)

## ახალგაზრდა მხატვართა კუთხე

✦ ✦

### საქართველოს ბურთები საკავშირო სარბიელზე



ნახ. ჯ. ჯანელიძისა.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04273